ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4301196

ნომერი: AR1647805

თარიღი : 07.12.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 14.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ დვალი პ/ნ 01008000711
- ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი მოცემულ ადგილზე, სსიპ თვითმართველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების მიწის

ნაკვეთზე , რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე, განახორციელოთ არსებული სარეკლამო კონსტრუქციის ზედაპირზე ბანერის განთავსება იმ შემთხვევაში თუ არსებული კონსტრუქცია განთავსებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მუხლი 35-ს გათვალისწინებით და დაცვით, რომლით რეგულირდება საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში შენობა-ნაგებობების და დანადგარების განთავსება ან/და სხვა სახით სარგებლობა და დაცული იქნება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ასევე, გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემის საფუძველზე, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე არსებულ უძრავი ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელი კომპანიებია: შპს ,,აუთდორ.ჯი" (205255917) და შპს ,,სმოდ ედვერთაისინგი" (404885512) შესაბამისად ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოთ შესაბამის სამსახურებს.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.